

სსიპ-ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა



სტრატეგიული განვითარების გეგმა

2023-30

## სარჩევი

შესავალი -----	3
სკოლის ზოგადი მახასიათებლები -----	3
სკოლის მისია -----	4
სკოლის ერთიანი ხედვა -----	4
სტრატეგიული მიმართულებები-----	5
სტრატეგიული მიმართულების გამჭოლი მიზნები-----	5
სკოლის სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები--	5
ინფრასტრუქტურის განვითარება -----	5
სწავლა-სწავლების ხარისხი -----	6
ინკლუზიური განათლება -----	
არაფორმლური განათლება -----	9
/	
სკოლის ორგანიზაციული კულტურა-----	11
აქტივობების განხორციელების კალენდარი -----	14

## შესავალი

სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას წინ უძღოდა სკოლის საჭიროებების, საგანმანათლებლო გემოვნებისა და დაკვეთის შესწავლა. არსებული მდგომარეობისა და სკოლის განვითარების მაჩვენებლების გაანალიზება.

სკოლის გასული 6 წლის მისიას აქტუალობა არ დაუკარგავს, უფრო მეტიც უსაფრთხოებისა და მოზარდების ავტონომიურობის განვითარება კიდევ მნიშვნელოვანი გახდა ახალი გამოწვევების ფონზე. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებით დგინდება, რომ ყველასთვის ერთნაირად უპირველეს ადგილზეა უსაფრთხოება და ხარისხიანი განათლება. საჭიროების შესწავლით დგინდება სკოლის ძლიერი მხარეები:

- ა) მშობლებისა და მოსწავლეების ნდობის მაღალი ხარისხი;
- ბ) მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანამშრომლობითი კულტურა;
- გ) მასწავლებლების თანამშრომლობის მაღალი ხარისხი და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუციის გამოყენების ეფექტურობა;
- დ) სასკოლო საქმიანობის ღიაობისა და საჯაროობის მექანიზმები(სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, სკოლაში მიმდინარე პროცესების საჯაროობა);
- ე) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების კარგი უნარი საგაკვეთილი პროცესში და სკოლის მართვაში;
- ვ) სკოლის კანცელარიის კვალიფიციური წარმოება
- ზ) მოწესრიგებული და ნაწილობრივ ადაპტირებული ინფრასტრუქტურა (პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო).
- თ) 19 საკლასო ოთახიდან 12 საკლასო ოთახი აღჭურვილია ელექტრონული სადემონსტრაციო საშუალებებით(ვიდეო პროექტორი 5 საკლასო ოთახში; ტელევიზორი 7-ში)
- ი) 24 საათიანი ინტერნეტწვდომა;
- კ) სასწავლო პროცესის მონაწილენი სარგებლობენ სკოლის სოციალური მუშაკების მომსახურებით;
- ლ) მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობა;;

მ) სსსმ მოსწავლეთა მომსახურებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი;

ნ) ოუფენ ბიბლიოთეკა;

ო) სკოლის კურსდამთავრებულთა მაღალი კონკურენტუნარიანობა ეროვნულ გამოცდებზე;

პ) დაწყებითი კლასების მოსწავლეების ჩართულობა გარე კონკურსებში;

სუტი მხარეები:

ა) პანდემით გამოწვეული რეგულაციების გამო ბოლო სამი წელია სასწავლო პროცესის ეფექტიან და ეფექტურ მიმდინარეობას საფრთხეები შეექმნა და შედეგად იკლო მოსწავლეთა მოტივაციამ, სწავლა-სწავლების ხარისხმა, არაფორმალური განათლების საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებმა; ა) შეიცვალა მოსწავლეების დამოკიდებულებები; - გაუჭირდათ პირისპირ სწავლებისას ქცევის მართვა;

ბ) მასწავლებლების გარე კონკურსებში მონაწილეობის დაბალი მოტივაცია;

დ) საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა გარე კონკურსებში მონაწილეობის დაბალი მოტივაცია;

ე) ბოლო სამი წლის განმავლობაში შესუსტდა მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის მასშტაბი;

ვ) ბოლო სამი წლის განმავლობაში მაღალი აკადემიური მაჩვენებლები 15%-20% ფარგლებში;

ზ) სასკოლო საქმიანობის ეფექტიანობისთვის არა საკმარისი ადმინისტრაციული რესურსი;

თ) არასაკმარისი სასწავლო ფართი.( ერთი სპორტული დარბაზი; არ არის სააქტო დარბაზი; თავისუფალი ფართი თვითმმართველობისთვის, კლუბებისთვის, თემატური კუთხეებისთვის და სხვა)

ი) მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებისა და ქცევის მართვაში მშობლებთან საერთო ხედვის დეფიციტი;

კ)შშმ პირთათვის შენობაში გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობები( მეორე სართული და სპორტული დარბაზი)

მ) ორ ცვლაში მუშაობა; შესვენების დროის სიმცირე;

ნ) კვების ბლოკი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს(ფართის სიმცირე)

**შესაძლებლობები:**

- ა) რეგიონში სკოლა მოთხოვნადია და შესაძლებელია შენობის გაფართოების საკითხის კვლავ წამოწევა;
- ბ) თემი აღიარებს მასწავლებელთა მაღალ კვალიფიკაციას;
- დ) ჯანსაღი და კეთილგანწყობილი ურთიერთობები დასაქმებულებს შორის;
- ე) თანამშრომლობითი ურთიერთობები მოსწავლეებთან;
- ვ) სკოლის დირექციის მართვის კარგი გამოცდილება;

სკოლის ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის სასკოლო საზოგადოების ერთიანი ხედვა, გუნდურობა და თანამშრომლობითი კულტურა აუცილებელი პირობაა. ვფიქრობთ, მაღალი ხარისხის განათლების სტანდარტის დასამკვიდრებლად ამ სტანდარტის მდგრადობის მისაღწევად მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები და პროფესიონალიზმი ცოტაა. მნიშვნელოვანია მშობლების პედაგოგიზაცია და მათთან გაზიარებული ხედვა შვილების აღზრდის საკითხებში.

წარმოდგენილი შეფასებებიდან გამომდინარე სკოლის მართვაში თანაბრად პრიორიტეტულია ყველა მიმართულება რათა განათლების მიღებისა და ავტონომიურობის მიღწევისთვის ხელშემწყობი პირობები შევუქმნათ მოსწავლეებს.

### **სკოლის ზოგადი მახასიათებლები**

სკოლა თავისი არსებობის ისტორიას 1938 წლიდან ითვლის. განთავსებულია კაკაბეთის ქ. N2-ში მდებარე შენობაში, რომელიც 80 წელზე მეტს ითვლის. 1997 წლამდე საქართველოს რკინიგზის საუწყებო სკოლა იყო (რკინიგზის N2 საშუალო სკოლა), 2005 წლამდე თბილისის N74 საშუალო სკოლად იწოდებოდა, ხოლო 2005 წელს, საქართველოს კანონის შესაბამისად „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დაფუძნდა სსიპ-ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა. სკოლას სარგებლობს საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით და პასუხისმგებლობებით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ზოგადი განათლების შესახებ " საქართველოს კანონით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით, ეროვნული სასწავლო გეგმითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. სკოლა შექმნილია სახელმწიფო ქონების საფუძველზე და მის სახელმწიფო

კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასახულ მიზნებსა და დაკისრებული ფუნქციებს სკოლა ახორციელებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებში. იგი საკუთარი სახელით იძენს

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ. სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, ანგარიში ბანკში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა.

სკოლა დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

### **სკოლის მისია**

ჩვენი სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის კომფორტულ, უსაფრთხო და წამახალისებელ სასწავლო გარემოს, კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური უნარების განვითარებას.

### **სკოლის ერთიანი ხედვა**

ჩვენი სკოლის მიზანია მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ თანადროული განათლების მიღების შესაძლებლობა. სკოლაში მოსწავლეები მოდიოდნენ სიხარულით, სწავლობდნენ ხალისით, სკოლას ამთავრებდნენ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და მაღალი სააზროვნო უნარებით; იზიარებდნენ და პატივს სცემდნენ ეროვნულ და მსოფლიო ღირებულებებს. შეძლონ საკუთარი ცოდნისა და ქცევის მართვა, პროფესიული არჩევანის გაკეთება. მასწავლებლები საქმიანობდნენ ენთუზიანით, მშობლებთან ჰქონდეთ პარტნიორული ურთიერთობები. ყოველწლიურად იზრდებოდეს ლიდერ მასწავლებელთა, პროფესიული არჩევანის უნარის მქონე და კონკურენტუნარიანი მოზარდების რიცხვი. ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისადმი სასწავლო პროცესის მონაწილეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის

ჩამოყალიბება. ციფრული ეპოქის შესაბამისი გარემოს შექმნა და ადეკვატურად გამოყენების უნარების განვითარება.

**2023-30 წწ სტრატეგიული მიმართულებები:**

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
3. არაფორმალური განათლების გაძლიერება;
4. სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება;
5. სოციალური უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება

**სტრატეგიული მიმართულების გამჭოლი მიზნები:**

სკოლაში ფიზიკური, ემოციური უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნება-განვითარება; მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარება და ხარისხიანი სასწავლო პროცესის მართვა; მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარგიერული დაგეგმვის ხელშეწყობა. ციფრული განვითარების ხელშეწყობა. მასწავლებელთა და ლიდერ მასწავლებელთა რიცხვის ზრდა. სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება; მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება და მათი პედაგოგიზაცია.

**სკოლის სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები:**

**1. სტრატეგიული მიმართულება - ინფრასტრუქტურის განვითარება**

**მდგომარეობის შეფასება:** სკოლის შენობა გარემონტებულია და ნაწილობრივ ადაპტირებული. ამასთან, ინფრასტრუქტურა არ პასუხობს დაკვეთას ა) სკოლის ფართი არ არის შესაბამისობაში მოსწავლეთა კონტიგენტთან. შესაბამისად სკოლა ფუნქციონირებს ორ

ცვლაში. შშმ პირთათვის არ არის ხელმისაწვდომი მეორე სართული და სპორტული დარბაზი. არაფორმალური განათლების აქტივობების ეფექტიანი საქმიანობისთვის არ არის შესაბამისი სივრცეები; სკოლის გაფართოების საკითხი ისევ დღის წესრიგშია.

**რისკები:** სკოლის შენობის გაფართოების ხანგრძლივი დროებითი გადავადება იწვევს: ა) პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთა კლებას მეორე ცვლაში სწავლის გამო. ბ) ლაბორატორიების არ ქონა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის კლებასა და კეთებით სწავლის შესაძლებლობის არ არსებობას; გ) საკლასო ოთახების სიმცირის გამო ვერ ხერხდება კლასების გაყოფა უცხო ენების გაკვეთილებზე, რაც აისახება სწავლების ხარისხზე; დ) სკოლა ვერ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას მოსწავლეებს;

#### **ამოცანები:**

- 1.1 სკოლის შენობის გაფართოების საკითხის დაყენება;
- 1.2 ადაპტირებული ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება;
- 1.3 სკოლის მოვლა-პატრონობა და მონიტორინგი.
- 1.4 სკოლის ციფრული განვითარება

#### **ქვეამოცანები**

- 1.1.1 სკოლის შენობის გაფართოებისთვის ალტერნატიული საშუალებების განსახილველად განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან თანამშრომლობა;
- 1.2.1 სკოლის სპორტულ დარბაზში შშმ პირთა გადაადგილებისთვის პირობების შექმნა;
- 1.2.2 შშმ პირთათვის პირველ სართულზე სასწავლო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- 1.3.1 შენობის, ინვენტარის, სკოლის ეზოსა და ღია სპორტული მოედნის ინფრასტრუქტურის მოვლა-განვითარებისთვის სასკოლო საზოგადოებასთან საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა;
- 1.3.2 მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-მოვლაზე პასუხისმგებლობების ყოველწლიური დაზუსტება-მონიტორინგი;
- 1.4.1 სკოლის ციფრული განვითარებისთვის კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლის სერვისების შეთავაზება და შესაბამისი პირობების შექმნა;
- 1.4.2 სასწავლო პროცესის ხარისხისა და მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება

## **2. სტრატეგიული მიმართულება - სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;**



**არსებული მდგომარეობა:** ბოლო 3 სასწავლო წელია შეიმჩნევა სწავლა-სწავლების ხარისხის კლება, რაც ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. შესაბამისად, იკლო პროცედურული ცოდნის მატარებელმა მოსწავლეთა რიცხვმა. მიმდინარეობს ახალი სკოლის მოდელის დანერგვის აქტივობები, მასწავლებლები ცდილობენ კომპლექსური დავალებებითა და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან კავშირში განავითარონ საგნობრივი საკითხების მიწოდება. მასწავლებელთა 100% ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული ზრდის აქტივობებში, მათ აქვთ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის გაზიარებული ხედვა. მასწავლებელთა 90% ფლობს და იყენებს კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებსა და ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებს. მოსწავლეთა პროცედურული ცოდნის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 20%-30%;

**რისკები:** ა) სასწავლო რესურსებისა და ლაბორატორიების გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა(საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების სიმცირე, სველი წერტილების სიმცირე) ბ)მასწავლებელთა გადატვირთული სამუშაო რეჟიმი; გ) მშობლების არაადეკვატური მოთხოვნები და მოლოდინები შვილების მომავალთან დაკავშირებით.

#### **ამოცანები:**

- 2.1 სკოლა უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესებში და სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, საჯაროობასა და გამჭვირვალობას;
- 2.2 სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს;
- 2.3 სკოლის მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა დაემყარება სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს;
- 2.4 სკოლა ხელს შეუწყობს ახალი სკოლის მოდელისა და კეთებით სწავლების დანერგვას;
- 2.5 სკოლის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამის არაფორმალურ განათლებას;
- 2.6 სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას;
- 2.7 სკოლა უზრუნველყოფს ციფრული განვითარების ხელშეწყობასა და ისტის გამოყენებას;

#### **ქვეამოცანები:**

- 2.1.1 სასკოლო საზოგადოების საჭიროებების შესწავლა ფორმალური და არაფორმალური საშუალებებით;
- 2.1.2 სასწავლო პროცესის მონაწილეთა ჩართულობის უზრუნველყოფა სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში;
- 2.1.3 სასკოლო სასწავლო გეგმისა და შესრულების ანგარიშის საჯაროობის უზრუნველყოფა;

- 2.1.4 სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ინფორმირების მრავალფეროვანი არხების გამოყენებას (ელექტრონული, ბეჭვდითი, ვერბალური და სხვა)
- 2.2.1 სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინტერესებს;
- 2.2.2 სასწავლო პროცესის მონაწილეებს მისცემს თანაბარი განვითარებისა და სასწავლო რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას; სასწავლო რესურსების შერჩევა-გამოყენება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით; კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობას წინასწარ განსაზღვრული განრიგით, ბიბლიოთეკის ელექტრონული სისტემის გამოყენება; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით და პერიოდიკით შეესება მკითხველის საჭიროებებისა და გემოვნების შესაბამისად; სასწავლო რესურსებითა და სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა;
- 2.3.1 სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლეთა სასკოლო შეფასების ფორმებს, შინაარსსა და ვადებს;
- 2.3.2 სკოლა გამოიყენებს შეფასების ეფექტიან და მრავალფეროვან სტრატეგიებს მოსწავლეთა მიღწევების რეგულარული მონიტორინგისა და სწავლების პრაქტიკაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის მოსწავლეების მიღწევების მაქსიმალური გაუმჯობესების მიზნით
- 2.3.3 მასწავლებლები რეგულარულად გამოიყენებენ სადიაგნოსტიკო შეფასებას მოსწავლეთა საბაზისო ცოდნისა და უნარების გამოვლენისათვის და დროული ინტერვენციების განხორციელებისთვის;
- 2.3.4 მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტების შეფასების პრინციპებთან (სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა გახდა ჭვირვალობა) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ეცნობიან არსებულ გამოცდილებას, ლიტერატურას.
- 2.3.5 სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს მოსწავლეთა სასწავლო შედეგების შემოწმების მექანიზმებს, რომელიც ცნობილი უნდა იყოს სასწავლო პროცესის მონაწილეთათვის სასწავლო წლის დასაწყისში.
- 2.3.6 სასწავლო შედეგების შემოწმების აქტივობების რაოდენობა, ფორმა და შინაარსი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ნორმებს და არ უნდა უქმნიდეს მოსწავლეს ემოციურ საფრთხეს.
- 2.3.7 ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მასწავლებლები სასკოლო შეფასებით მიღებული მონაცემების გათვალისწინებით დაგეგმავენ სწავლების გაუმჯობესების ინტერვენციებს;
- 2.4.1 სკოლის მასწავლებლები ინტენსიურად ჩაერთვებიან ახალი სკოლის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარე საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიაში. შიდა რესურსის გამოყენებით მოხდება ურთიერთსწავლება.

- 2.4.2 დაინერგება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები და მოსწავლეთა გამოცდილებაზე დაშენებული აღმოჩენების გზით სწავლება;
- 2.4.3 მოსწავლეთა სწავლის ავტონომიურობისთვის და დიფერენცირებული მიდგომებისთვის დაინერგება კომპლექსური დავალებების მრავალფეროვნება;
- 2.4.4 კათედრებისა და საგნების ინტეგრირების გზით შემცირდება საშინაო დავალებების მოცულობა. მასწავლებელი მოსწავლეების მონაწილეობით უზრუნველყოფს ყოველი კლასისთვის საშინაო დავალების, საკლასო დავალებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას დავალების შინაარსის, ფორმის, მოცულობის, სავარაუდო ვადების განსაზღვრას;
- 2.5.1 არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფა არაფორმალური განათლების განვითარებისთვის;
- 2.5.2 უზრუნველყოფილი იქნება არაფორმალური განათლების აქტივობების მრავალფეროვნება და უზრუნველყოფს მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებას;
- 2.5.3 ვოლონტიორი მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით ორგანიზებული იქნება არაფორმალური აქტივობები, შეიქმნება კლუბები, წრეები;
- 2.5.4 ტრადიციად იქცევა სასკოლო პროექტის „განათლება დემოკრატიისთვის „ ყოველწლიური დაგეგმვა-ორგანიზება-შეფასება. პროექტის მიზანი- ტოლერანტული სასწავლო გარემოსა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარება;
- 2.6.1 მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანებები (კათედრა, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მიზნობრივი, დროებითი და სხვა) უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმიანობის განსაზღვრას, დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შუალედურ შეფასებას (საჭიროების შემთხვევაში კორექტირება/გადაგეგმვას) და საბოლოო შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას.
- 2.6.2 სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- 2.6.3 შიდა სასწავლო აქტივობების ორგანიზება-მასწავლებელთა კონფერენცია, გამოცდილების გაზიარება, საგანთაშორის ინტეგრირებული აქტივობების ორგანიზება და სხვა;
- 2.6.4 ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია;
- 2.7.1 ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა ელექტრონული სასწავლო საშუალებებით(ტელევიზორი, ეკრანი, კომპიუტერი, ვიდეოპროექტორი და სხვა)
- 2.7.2 ციფრული საშუალებების გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა;

2.7.3 მოსწავლეებში ინტერნეტ სივრცისა და კომპიუტერული მეცნიერებების მნიშვნელობის გააზრებისა და მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

**3. სტარტეგიული მიმართულება - არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გამოყენება მოსწავლეთა ავტონომიურობისა და გამჭოლი უნარების გასავითარებლად**

*არსებული მდგომარეობა:*

სკოლის პედაგოგიურ საზოგადოებას აქვს მდიდარი გამოცდილება კლასგარეშე საქმიანობის ორგანიზებაში. სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა ეფექტიანად იყენებს დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობებს მოსწავლეთა გონებრივი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას აქვს სოციალური, ენობრივი, მენტალური და სხვა შინაარსის პრობლემები, რაც იწვევს მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის დაქვეითებას, საკუთარ შესაძლებლობებისადმი უიმედო დამოკიდებულებას, ჩაკეტილობასა და ხშირ შემთხვევაში აგრესიულობას. ჩვენი ამოცანაა მოსწავლეთა დახმარება და არსებული რესურსების ეფექტური გამოყენება. ამასთან, მოსწავლეებს სკოლა ვერ სთავაზობს ფასიან დამატებით მომსახურების ფართო არჩევანს ერთი მხრივ მშობლების მატერიალური შესაძლებლობებისა და მეორე, სკოლის ფიზიკური შესაძლებლობების გამო.

*რისკები:* ა) მოსწავლეებისა და მასწავლებლებლების გადატვირთული სამუშაო რეჟიმი; ბ) სკოლას არ აქვს საკლასო ოთახიდან განსხვავებული სივრცე;

*ამოცანები:*

3.1 სასკოლო საზოგადოების დაკვეთისა და მოსწავლეთა ინტერესების ცოდნის უზრუნველყოფა;

3.2 ყოველწლიური სასკოლო პროექტის „განათლება დემოკრატიისთვის“ შემუშავება-განხორციელება;

3.3 კლასგარეშე აქტივობების გამოყენება მოსწავლეებში გამჭოლი კომპეტენციების განვითარებისთვის;

3.4 მოსწავლეების სკოლის გარეთ მიღწეული წარმატებების აღიარება და პოპულარიზაცია;

3.5 მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა;

3.6 მოსწავლეთა პროფესიული არჩევანისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა;

*ქვეამოცანები:*

3.1.1 მოსწავლეთა ინტერესების შესწავლა;

3.1.2 ვოლონტიორო მასწავლებლებისა და მშობლების შესაძლებლობების შესწავლა; არსებული ადამიანური რესურსისა და მოსწავლეთა დაკვეთის გათვალისწინებით წრეებისა და კლუბების მიმართულებების განსაზღვრა და მოსწავლეებისთვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მიცემა;

3.1.3 საწრეო საკლუბო მუშაობის ორგანიზებისას შემოქმედებითი, სპორტული, ხელსაქმისა და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა;

3.2.1 პროექტის „განათლება დემოკრატიისთვის“ შინაარსის განსაზღვრა არსებული გამოწვევების გათვალისწინებით;

3.2.2 პროექტის „განათლება დემოკრატიისთვის“ მიზნის - ტოლერანტული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარება;

3.3.1 მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენციების, საგნობრივი ოლიმპიადების, თოქ-შოუს აქტუალურ საკითხებზე და სხვა ორგანიზება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით;

3.3.2 სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება საგაკვეთილო დროს, დაჯგუფებული საგაკვეთილო საათებისა და საგაკვეთილო ცხრილში შესაბამისი ცვლილებით;

3.3.3 სასწავლო ექსკურსიებს დაგეგმავს საგნის მასწავლებელი დამრიგებელთან ერთად სასწავლო საკითხთან დაკავშირებით. სასწავლო ექსკურსიის ჩატარების გეგმა განსაზღვრავს მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, ექსკურსიის შედეგების შეფასების მექანიზმებს. ექსკურსის დაგეგმვა-შეფასება განხორციელდება მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით;

3.4.1 სკოლის კულტურის ნაწილად იქცევა სკოლის გარეთ მიღწეული შედეგების აღიარება და პოპულარიზაცია. დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციების მართვას. სკოლა უზრუნველყოფს წარმატებების შეახებ სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში განთავსებას, მილოცვისა და შეხვედრების ორგანიზებას. შესაძლებლობების გათვალისწინებით უმცროსი ასაკის მოსწავლეთა საკლუბო მუშაობის ორგანიზებას მასწავლებლებთან ერთად.

3.5.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიის ჩატარებამდე მოსწავლეთა ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის სკოლის ყველა საინფორმაციო არხის გამოყენება. არჩევნებისა და შედეგების ფართოდ გაშუქება. მოსწავლეების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

3.6.1 სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სისტემის პოპულარიზაციისა და რეგულირებადი პროფესიების გაცნობას. პროფესიებისა და წარმატებული პროფესიონალების პოპულარიზაციას;

#### 4. სტრატეგიული მიმართულება -სკოლის ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნება-განვითარება;

**არსებული მდგომარეობა:** სკოლამ მრავალწლიანი არსებობის მანძილზე შექმნა და განავითარა შიდა ორგანიზაციული კულტურა და ჩამოყალიბდა პოზიტიური კლიმატი. კულტურის განვითარების ყველა ეტაპზე მთავარი ღირებულებები იყო თანამშრომლობითი ურთიერთობების, გაზიარებული პასუხისმგებლობები, ობიექტური და მიუკერძოებელი მიდგომები, გადაწყვეტილებების მიღებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. შექმნილია ტრადიციები - ურთიერთდახმარება, თანადგომა და თანაგანცდა. სკოლა ემსახურება ოჯახებს, რომელთა თაობებიც ბოლო 84 წლის განმავლობაში ამ სკოლაში იღებს განათლებას, რამაც სკოლაში ყველაზე ღირებული ფასეულობა - მიკუთვნებულობის განცდა ჩამოუყალიბა მოსწავლესა და მშობელს. შექმნილმა ოჯახურმა გარემომ თავისთავად შექმნა პირობები გამჭვირვალებისა და მიუკერძოებლობის. ამასთან, სკოლის დირექციის ძალისხმევით გამართულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება. დელეგირებულია საქმიანობა. წახალისებულია ლიდერობის ინსტიტუციის განვითარება და ინიციატივები. სკოლაში შექმნილი გარემო ყველას აძლევს საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებასა და განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ საკოლო კულტურის მდგრადობას საფრთხე არ უნდა დამუქრებოდა, ონლაინ სწავლებიდან პირისპირ გადასვლამ, ხანგრძლივი დროით შედუღებულ პირობებში მუშაობამ სკოლის სარემონტო სამუშაოების გაჭიანურების გამო, ბზარი გააჩინა და იგრძნობა მოსწავლეებში ემოციების, ქცევის, ბრაზის მართვის სირთულეები, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სკოლა.

**რისკები:** ა)პანდემიით გამოწვეული ცვლილებები- ხასიათი, ჯანმრთელობა, სოციალური უნარები; ბ)მასწავლებელთა და დასაქმებულთა გადატვირთული და ფიზიკურ შესაძლებლობებთან აცდენილი სამუშაო დატვირთვა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მასწავლებელთა პროფესიული გადაწვა და სტაგნაცია. გ)მოსწავლეების და მშობლების მხრიდან საკუთარი უფლებების უზრუნველყოფა პასუხისმგებლობების იგნორირებით; დ) საზოგადოებაში ნიჰილისტური და აგრესიული ფონის გაზრდა; ე) სწრაფადცვალებად გარემოს მოთხოვნებზე ადეკვატური და დროული რეაგირების შეფერხება; ვ) დაგროვილი გამოცდილების ნეგატიური გავლენა განვითარებაზე -დამკვიდრებული ქცევის წესები, ტრადიციები, რომლებიც პირად საკითხებზეა ორიენტირებულ და არა საქმეზე.

### **ამოცანები**

4.1 სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნების შესრულების მართვა;

4.2 სტრუქტურული ერთეულების -სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომისია, მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანებები -საქმიანობის ხელშეწყობა;

4.3 სასწავლო პროცესის მონაწილეთა დროული ინფორმირება და ეფექტური კომუნიკაცია;

4.4 სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები მშობლებისა და საზოგადოების მიმართ არიან კეთილგანწყობილნი, მათ მიიჩნევენ თანამოაზრეებად და პარტნიორებად, რაც სათანადოდ არის ასახული ყოველდღიურ პრაქტიკაში;

4.5 სკოლის ღირებულებები, ტრადიციები და რიტუალები უზრუნველყოფს მისი თითოეული წევრის ღირსების დაცვასა და სრულფასოვან სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას;

### **ქვეამოცანები**

4.1.1 სკოლის შინაგანაწესში, მკაფიოდაა განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ღირებულებები, მოლოდინები და ქცევის წესები მოსწავლეებისა/თანამშრომლებისთვის და ცნობილია;

4.1.2 სკოლის შინაგანაწესის ქმედითი და სიცოცხლის უნარიანობის შესანარჩუნებლად დროულად მოხდება აუცილებლობით გამოწვეული ცვლილებების განხორციელება სასკოლო საზოგადოებასთან თანხმობისა და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად;

4.2.1 სკოლის სტრუქტურულ ერთეულების საქმიანობის საფუძველია სკოლაში გაზიარებული ღირებულებები - სასწავლო პროცესის მონაწილეთა მიმართ მაღალი მოლოდინები, თანამშრომლობითი ურთიერთობები.

4.2.2 სტრუქტურული ერთეულები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მშობლებსა და საზოგადოებას მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავიანთი წვლილი შეიტანონ სკოლის განვითარებაში;

4.2.3 უზრუნველყოფილია ანგარიშვალდებულების სისტემა. ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობისა და საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტაცია(სასწავლო გეგმა, ბიუჯეტი, განვითარების გეგმა, ანგარიშები და სხვა)

4.3.1 სკოლა განავითარებს ინფორმირების არხების მრავალფეროვნებას სასწავლო პროცესის მონაწილეთა დროული და მუდმივი კომუნიკაციისთვის და ჩართულობისთვის მიმდინარე პროცესებში. ამ მიზნით აქტიურად მოხდება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების დანერგვა და გამოყენებისთვის შესაძლებლობებისა და საშუალებების განვითარება.

4.4.1 სკოლა უზრუნველყოფს მშობლებთან კომუნიკაციის ყველა საშუალების გამოყენებას. სკოლა შეეცდება შესაძლებლობის ფარგლებში დისტანციური კომუნიკაციის შეზღუდვასა და მშობლებთან პირისპირ კომუნიკაციის აქტიურად გამოყენებას;

4.5.1 სკოლის თითოეული წევრის, მოსწავლისა და თანამშრომლის წარმატების ფართოდ აღიარებისა და დაფასებულობის მექანიზმების გამოყენება;

4.5.2 სკოლაში პოზიტიური, მოსწავლის მიკუთვნებულობის განცდის გამომწვევი ტრადიციული რიტუალების განხორციელების გაგრძელება-განვითარება;( ელექტრონული არხებით წარმატებების და დაბადების დღეების მილოცვა, წარმატებულ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან შეხვედრებისა და მათი წარმატების პოპულარიზაცია)

## **5 სტრატეგიული მიმართულება - უსაფრთხო სასწავლო გარემო და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება**

**არსებული მდგომარეობა** სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ პირისპირ სწავლებაზე გასავლის შემდეგ დაგვანახა, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეებს დაქვეითებული აქვთ სოციალური უნარები და უჭირთ ემოციების მართვა, რაც იწვევს კონფლიქტებს მათ შორის. საბაზო და საშუალო საფეხურზე სოციალური უნარების დეფიციტს ემატება თავის დამკვიდრების მცდელობები ასოციალური ქცევებით. 2022 წელს მოსწავლეებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების შემდგომი მოვლენები და არსებული ვითარება საჭიროებს სისტემატიურ და პროფესიონალურ მიდგომებს. დარღვევების სტატისტიკა არ აღემატება წინა წლების დარღვევებს, მათ შორის არც შინაარსით, მაგრამ მაინც შესამჩნევია. მოსწავლეებს უჭირთ ემოციების, ბრაზის მართვა და ამასთან, მშობლების ინფორმაციი მათაც უჭირთ შვილების ქცევის მართვა.

**რისკები:** ა)ასოციალური ქცევა შესაძლოა გახდეს პოპულარული ბ) ფარული ძალადობისა და ბულინგის შემთხვევები; გ) წარუმატებლობის წინა პირობად იქცეს ასოციალური ქცევა; ე) სკოლის, სისტემის ავტორიტეტის დაქვეითება და საზოგადოების ნდობის შემცირება;

### **ამოცანები:**

5.1 სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის გაძლიერება;

5.2 ძალადობის პრევენციის ზომების გაძლიერება;



- 5.3 ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების გაძლიერება;
- 5.4 სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
- 5.5 მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობის გაძლიერება;
- 5.6 მშობლების პედაგოგიზაციის აქტივობების გაძლიერება;
- 5.7 სკოლის შინაგანაწესის გაცნობის მექანიზმების გააქტიურება;
- 5.8 ადამიანის უფლებების შესწავლისა და ტოლერანტობის განვითარების ხელშემწყობა;

### ქვეამოცანები:

- 5.1.1 სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის საჯაროობა და გაფართოებული სხდომების ჩატარება;
  - 5.2.1 სკოლის შესასვლელში დარაჯების გარდა მასწავლებელთა მორიგეობის უზრუნველყოფა
  - 5.2.2 სათვალთვალო კამერების ჩანაცვლება ბოლო თაობის კამერებით;
  - 5.2.3 ხანძრის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საქმიანი თამაშების ორგანიზება;
  - 5.2.4 სკოლის შენობისა და ეზოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მართვა;
  - 5.2.5 სამედიცინო კაბინეტის უზრუნველყოფა პირველადი დახმარების საშუალებებითა და კვალიფიციური კადრით;
  - 5.2.6 უსაფრთხოების ზომების, ქცევის წესების და პროცედურების დაზუსტება დასაქმებულთა ფუნქციების აღწერილობაში.
- 5.3.1 სადამრიგებლო პროგრამებში ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივ და მორალურ მხარეებზე აქცენტების გაკეთება;
- 5.3.2 მასწავლებლები და დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა სოციალურ, ემოციურ მდგომარეობაზე დაკვირვებასა და მათ მხარდაჭერას;
- 5.3.3 დირექცია, დასაქმებულები, ზრუნავენ ერთმანეთის, მოსწავლეებისა და მშობლების ღირსებისა და პირად ხელშეუხებლობაზე;
- 5.3.4 უზრუნველყოფილია პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
- 5.3.5 საჯარო ინფორმაცია გაიცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით;
- 5.4.1 სოციალური მუშაკების მუშაობისა და მხარდაჭერის პოპულარიზაცია;

5.5.1 მანდატურებთან მოსწავლეების და მშობლების თანამშრომლობის მნიშვნელობის მიტანა სასწავლო პროცესის მონაწილეებამდე;

5.6.1 მშობლებთან თემატური შეხვედრების ჩატარება და სოციალური ქსელით კომუნიკაციის შესაძლებლობის ფარგლებში პირისპირ შეხვედრებით ჩანაცვლება;

5.7.1 სასწავლო წლის დასაწყისში და საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლის შინაგანაწესის გაცნობა პირისპირ შეხვედრებზე და საჯაროდ განთავსება შენობაში და სკოლის ვებ გვერდზე.

5.8.1 პროექტის „განათლება დემოკრატიისთვის“ ჩატარება საჭიროებების გათვალისწინებითა და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნის კულტურის განვითარებისთვის;

5.8.2 სკოლაში და სკოლის გარეთ წარმატებული მოსწავლეების წახალისების, პოპულარიზაციის მექანიზმების დანერგვა.

### სამოქმედო გეგმა

(კალენდარი)

N	აქტივობა	რესურსი		ვადა	ინდიკატორი/დადასტურება
		ადამიანური	მატერიალური/ფინანსური		
<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>					
1	სკოლის შენობის რეკონსტრუქციის/აშენების საკითხის დაყენება	დირექცია		2023	შეთანხმება მიღწეულია
2	სპორტულ დარბაზში ჩასასვლელის ადაპტირება-მინი ლიფტის მონტაჟი	დირექცია	42 000 ლარი	2023	დაფინანსდა პროექტი; ლიფტი ფუნქციონირებს;

3	ეზოს გაფართოება (ღობის გასწვრივ ბორცვების მოჭრა-მიწის გატანა-მოპირკეთება)	დირექცია	20 000 ლარი	2024	ეზოს ფართი გაიზარდა და მოპირკეთდა
4	ეზოს დარჩენილი ღობის მოწყობის საკითხის დაყენება	დირექცია		2023	ღობის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია
5	სკოლის ღობეზე გამავალი გაზის მილის დემონტაჟის მოთხოვნის გააქტიურება	დირექცია ინფრასტრუქტურის სააგენტო		2023	მილის დემონტაჟი განხორციელდა
6	სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა-მონიტორინგი	ტექნიკური მენეჯერი		2023-30	სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობაშია ყოველდღიურად
7	სკოლის ეზოს გაფართოება (ღობის გასწვრივ მიწის მოჭრა)	დირექცია, ინფრასტრუქტურის სააგენტო		2024	მიწა მოჭრილია-გატანილია
8	სკოლის სკვერის კეთილმოწყობა	დირექცია		2025	სკვერში მოწყობილია დასასვენებელი სივრცე, დეკორატიული გამწვანება
9	ფანჯრების ფარდა ჟალუზების მოწყობა	დირექცია, ინფრასტრუქტურის სააგენტო	18 000 ლარი	2023	მოწყობილია ფარდაჟალუზები ყველა ფანჯარაზე
10	ტელევიზორებით/ ვიდეო პროექტორებით საკლასო ოთახების აღჭურვა	დირექცია	წელიწადში 1500 ლარი	2023-30	ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით
11	არსებული კომპიუტერების გაძლიერება	დირექცია	3000 ლარი	2023-24	შემენილია კომპიუტერების გასაძლიერებლად

12	საკლასო აღჭურვილია კომპიუტერებით	ოთახები	დირექცია	ყოველწლი ურად 1500 ლარი	2023- 30	ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია კომპიუტერით
13	ინტერნეტზე უზრუნველყოფა საკლასო (საკაბელო/wifai)	წვდომის ყველა ოთახში	დირექცია		2025	შეუფერხებელია ინტერნეტწვდომა ყველა საკლასო ოთახში
14	არქივის განსათავსებელი ავეჯის შეძენა		დირექცია	3000 ლარი	2026	საარქივო მასალა განთავსებულია დაცულ კარადებში
15	სკოლის კეთილმოწყობა	სარდაფის	დირექცია ინფრასტრუქტ ურის სააგენტო	40 000 ლარი	2028	სკოლის სარდაფში მოწყობილია სათავსო ფართი და არქივი
16	სკოლის საკლასო ოთახებისა და კოსმეტიკური რემონტი	დერეფნების	დირექცია, ინფრასტრუქტ ურის სააგენტო	50 000	2029- 30	გარემონტებულია სკოლის სივრცე
17	დერეფნებში საინფორმაციო და ნამუშევრების გამოფენისთვის დაფების მოწყობა	მოსწავლეთა	დირექცია		2023	დერეფნების კედლებზე განთავსებულია 8 ცალი საინფორმაციო დაფა
18	სკოლის საშუალებებით მომარაგება	მოვლის	დირექცია	წლიური ტანხა 1500	2023- 30	სკოლა სიტემატიურად უზრუნველყოფი ლია საყოფაცხოვრებო ქიმიით, ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებებით

19	სკოლის უზრუნველყოფა მესამე მხარის მომსახურებით(ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა)			2023-30	სკოლას უწყვეტად მიეწოდება მესამე მხარის მომსახურება
<b>სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა</b>					
1	სკოლის საჭიროებების შესწავლა	მონიტორინგის ჯგუფი		2023-30	შედეგების ანალიზი-რეკომენდაციები
2	სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგი	ხარისხის მართვის ჯგუფი		2023-30	ყოველწლიური ანგარიში. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
3	სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავება-განხორციელება-შეფასება	დირექცია, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, კათედრები,		2023-30	სასწავლო გეგმა; შესრულების ანგარიში; სამეურვეო და პედსაბჭოს ოქმები
4	სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინება-ხელშეწყობა(ინდ გეგმები, საჭიროებების შესაბამისი კადრების მოზიდვა, რესურსებით უზრუნველყოფა	დირექცია	4000 ლარი	2023-30	ინდ გეგმები, რესურსოთახი, ოქმები, მოსწავლეთა პორტფოლიოები
5	კათედრების საქმიანობის ორგანიზება	კათედრის თავმჯდომარე		2023-23	გეგმები, ანგარიშები
6	პედაგოგიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზება	პედსაბჭოს თავმჯდომარე		2023-30	ოქმები

7	ახალი სკოლის მოდელის დანეგვა	დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები		2023-30	მოსმენილი გაკვეთილები, რეფლექსიები, უკუკავშირები, მასწავლებლების თვითანგარიშები
8	კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა	დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები		2023-30	<a href="https://emis188-my.sharepoint.com/personal/tbilisi74_mes_gov_ge/layouts/15/onedrive.aspx?login_hint=tbilisi74%40mes%2Egov%2Ege">https://emis188-my.sharepoint.com/personal/tbilisi74_mes_gov_ge/layouts/15/onedrive.aspx?login_hint=tbilisi74%40mes%2Egov%2Ege</a>
9	მასწავლებელთა კონფერენციის ორგანიზება ყოველი სასწავლო წლის მეორე ნახევარში(გამოცდილების გაზიარება, მიღწევების პრეზენტაცია-გაზიარება)	დირექტორის მოადგილე		2023-30	საკონფერენციო თემების კრებულები
10	მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენციების ორგანიზება ყოველი წლის გაზაფხულზე	დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები , მოსწავლეები		2023-30	საკონფერენციო თემების კრებულები
11	საგნობრივი ოლიმპიადა ყოველი წლის თებერვალი	კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები , მოსწავლეები		2023-30	შედეგების ანგარიში
<b>არაფორმალური განათლების გაძლიერება</b>					

1	მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლა	დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მუშა ჯგუფი	ინტერნეტი პროგრამა-forms	2023-30	შედეგების ანალიზი
2	ვოლონტიორ მშობელთა, კურსდამთავრებულთა, მასწავლებელთა შესაძლებლობების შესწავლა-შერჩევა საწრეო მუშაობის ორგანიზებისთვის	დირექცია		2023-30	სტაფის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები
3.	წრეების ორგანიზება	დირექცია	3500 ლარი	2023-30	წრეების პროგრამები, შედეგების ამსახველი მასალები, მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებლები (ყოველ საფეხურზე 5% - დან ყოველწლიურად მინიმუმ 3%-იანი ზრდა- მაქსიმუმი 30% მოსწავლის ჩართულობა წრეებში)
4	სასკოლო პროექტი- „განათლება დემოკრატიისთვის“ ორგანიზება (წლის გამოწვევის განსაზღვრა და პროგრამის	პროექტის წარმომადგენლობითი მართვის ჯგუფი	1400 ლარი	2023-30	პროექტის განხორციელების ამსახველი მასალები

	შემუშავება-განხორციელება-შეფასება)				
5	მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისა და საქმიანობის ორგანიზება-ხელშეწყობა	დირექცია,, სამეურვეო საბჭო მოსწავლეთა თვითმმართველობა	140 ლარი	2023-30	ოქმები, თვითმმართველობის გეგმები, აქტივობების ამსახველი მასალები
6	თოქ შოუს ორგანიზების ხელშეწყობა(თემატიკის განსაზღვრა გამოწვევებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით	მოსწავლეთა თვითმმართველობა	ტექნიკური მოწყობილობა- მიკროფონი, ვიდეო კამერა	2023-30	პროექტის განხორციელების ამსახველი მასალები
<b>სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება</b>					
1	სკოლაში სტრუქტურული ერთეულების არჩევნების ორგანიზება: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა.	საარჩევნო კომისია		2023-30	არჩევნების ოქმები
2	სამეურვეო საბჭოსთან თანამშრომლობა სკოლის წესდებით განსაზღვრული წესით.	დირექტორი		2023-30	ანგარიშები, ოქმები
3	პედაგოგიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზება	პედსაბჭოს თავმჯდომარე		2023-30	ანგარიშები, ოქმები
4	საგნობრივი კათედრების საქმიანობის ორგანიზება	კათედრის თავმჯდომარეები		2023-30	გეგმები, ოქმები



5	მრჩველთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზება-საჯაროობა	მრჩველთა საბჭოს თავმჯდომარე		2023-30	ოქმები
6	დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის ორგანიზება	კომიტეტის თავმჯდომარე		2023-30	ოქმები, განცხადებები
7	მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის ორგანიზება	მოსწავლეთა თვითმმართველობების თავმჯდომარეები(საბაზო, საშუალო საფეხური)		2023-30	ოქმები, აქტივობების ამსახველი მასალები
8	სკოლის შინაგანაწესის გაცნობის კამპანია(მოსწავლეები, მშობლები)	დირექცია, მრჩველთა საბჭო		2023-30	შეხვედრების ამსახველი მასალები
9	სასწავლო პროცესის მონაწილეთა ინფორმირებისა და კომუნიკაციის ორგანიზება ელექტრონული საშუალებებით	დირექცია, ინფორმაციული მანეჯერი		2023-30	<a href="https://www.facebook.com/groups/227365208313825">https://www.facebook.com/groups/227365208313825</a> <a href="https://www.facebook.com/groups/835009181243935">https://www.facebook.com/groups/835009181243935</a> Tems-ის პლატფორმაზე შექმნილი სტრუქტურული ერთეულების ჯგუფები Onedrive, email, <a href="http://www.74school.ge/school/school_74/index.php">http://www.74school.ge/school/school_74/index.php</a>

10	მშობლების პედაგოგიზაციის პროგრამის განხორციელება (თემატური შეხვედრები პროფესიონალების მონაწილეობით-ექიმი, ფსიქოლოგი, მანდატური)	დირექცია		2023-30	შეხვედრების ამსახველი მასალები
11	მშობლებთან პირისპირ შეხვედრების ორგანიზება წელწადში მინიმუმ 4-ჯერ(სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის, კომპლექსური დავალებებისა და მიმდინარე პროცესების გაცნობა-მსჯელობა)	დამრიგებლები		2023-30	კრებების თემატიკა, საპრეზენტაციო მასალება, ოქმები, უკუკავშირები
12	მშობელთა პროფესიული მიღწევების შესწავლა და მათი წარმატებების პოპულარიზაცია, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განვითარებისთვის გამოყენება(შეხვედრები, გამოფენები)	დირექცია, დამრიგებლები		2023-30	აქტივობების ამსახველი მასალები; პროფესიონალ, შემოქმედ მშობელთა ბაზა
13	სასკოლო ტრადიციების განვითარება (ჰოლში ელექტრონულ დაფაზე დაბადების დღისა და დღესასწაულების მილოცვა, წარმატებული პრაქტიკის,	დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა	ტელეეკრანი , ინტერნეტი	2023-30	აქტივობების ამსახველი მასალები

	საკლასო აქტივობის ვიდეო რგოლის ჩვენება, დილას მოსწავლეთა მიღება მუსიკის თანხლებით, სახელმწიფო დროშის აწევა სასწავლო წლის დასაწყისში, სახელმწიფო ჰიმნის შესწავლა მუსიკის გაკვეთილებზე, მეტრომშენში მდებარე მოხუცთა თავშესაფართან თანამშრომლობა, საქველმოქმედო აქციის ორგანიზება წელწადში ერთხელ, თვითმმართველობის ერთი დღე, მოსწავლეთა ტრენერის როლში ჩაყენება)				
<b>უსაფრთხოებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება</b>					
1	სადამრიგებლო პროგრამის ფოკუსირება მოსწავლეთა შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გასავითარებლად	დამრიგებლები		2023-30	პროგრამები აქტივობების ამსახველი მასალები, დისციპლინური გადაცდომის სტატისტიკა
2	მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური გარემოს შესწავლა-დაკვირვება	დამრიგებლები		2023-30	სტატისტიკა
3	მასწავლებელთა მორიგეობის უზრუნველყოფა	დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები	ბრძანება	2023-30	განრიგი მოსწავლეთა გამოცხადების

					ადიციური ჟურნალი
4	სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების- რეკომენდაციების საჯაროობა	სამეთვალყურე ოსსაბჭოს თავჯდომარე	საკომუნიკა ციო ელ.პლატფო რმები	2023- 30	ოქმები
5	სოციალური მუშაკების საქმიანობის პოპულარიზაცია- თანამშრომლობა	დირექცია	საკომუნიკა ცი ელექტრონუ ლი პლატფორმე ბი	2023- 30	საჯარო განცხადებები, ინფორმაციები შეხვედრები
6	მანდატურებთან თანამშრომლობა, მათი საქმიანობის მნიშვნელობის მიტანა მშობლებამდე, მოსწავლეებამდე	სასწავლო პროცესის მონაწილენი		2023- 30	ფუნქცია- მოვალეობების გაცნობის ამსახველი მასალები, შეხვედრები
7	დასაქმებულთა მოვალეობების დაზუსტება სასწავლო წლის დასაწყისში	დირექტორი		2023- 30	დასაქმებულებთან შეთანხმებული მოვალეობების ამსახველი დოკუმენტი; ბრძანება
8	სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	დირექტორი	700 ლარი	2023- 30	კაბინეტის მართვის ინსტრუქცია ადრიცხვიანობა
9	სათვალთვალო კამერების მეურნეობის გაუმჯობესება	დირექტორი	1800 ლარი	2023	კამერები დამონტაჟებულია

